დამტკიცებულია 07/07/2024

შპს „მაი პალნის “დირექტორი ლევან ჭიჭინაძე

ხელშეკრულება ფიზიკურ - მეწარმე პირებთან პორტალ „მაი პლენ“ -ზე მესამე პირების მიერ განხორციელებული შეკვეთის შესასრულებლად ავტოსატრანსპორტო საშუალებებით

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულად ითველება მიმდინარე 2024 წლის იმ თარიღიდან , რომლის ელექტრონულ ვერსიაზე ხელშემკვრელი მხარე გასცემს დადასტურების თანხმობას, www.myplan.ge მძღოლის რეგისტრაციის გვერდზე რეგისტრაციის დასრულების შედეგად

1. **ხელშეკრულების განხორციელების მიზანი:**

1.1. ხელშეკრულების განხორციელების მიზანს წარმოადგენს იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, მის განკარგულებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების გაწევა პორტალ „მაი პლენზე“ შემოსული სამოგზაურო დაკვეთის შესასრულებლად.
1.2. ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ მესამე პირები, რომლებიც ანხორციელებენ პორტალ „მაი პლანზე“ მოგზაურობის დაკვეთას, წარმოდგენს ორივე მხარისთვის პრიორიტეტულ მოქმედებას და ერთობლივად და საერთო მიზნისთვის ანხორციელებენ ერთობლივ ქმედებას.
1.3. მგზავრი წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს და ის დაკვეთას ახორციელებს, შპს „მაი პლანის“ მიერ შემუშავებული წესებისა და ქცევის ნორმების მიხედვით, რომლის თაობაზე ინფორმაცია წერილობით განთავსებულია www.myplan.ge პორტალზე და დაკვეთის განხორციელებისას მგზავრი დაეთანხმა მისი დაცვის ვალდებულებას.
1.4. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცავენ მესამე პირებითვის მაქსიმალური ეფექტიანობით მომსახურების მიწოდებას, რათა დაცული იქნეს მხარეთა კომერციული მომგებიანობის შინაარსი და არ დააზარალონ საკუთარი ქმედებებით მხარეთა ინტერესები.

2. **ხელშეკრულების საგანი ;**

2.1. დამკვეთი კომპანია „მაი პლენ”, “შემსრულებელს” უფორმებს კონტრაქტს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, მუხლი 1 მიზნებისთვის და პორტალ „მაი პლენ“-ზე მესამე პირების მიერ განხორციელებული შეკვეთის შესასრულებლად ავტოსატრანსპორტო საშუალებებით განსაზღვრული ვადით.

3. **“შემსრულებლის” ვალდებულებები:**

3.1. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას საკუთარი ავტომობილით მოახდინოს საქართველოს მაშტაბით, წინასწარ გაწერილი და ინფორმირებული მარშრუტით ტურისტულ ობიექტებზე მგზავრთა გადაყვანა.
3.2. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას სამუშაო პროცესში იყოს ფხიზელი, პუნქტუალური, კეთილგანწყობილი.
3.3. განახორციელოს მხოლოდ წინასწარ მიწოდებულ მარშრუტზე მგზავრის გადაადგილება, თვითნებური ცვლილების გარეშე.
3.4. მარშრუტის ცვლილება ან კორექტირება დასაშვებია, თუ ამ მარშრუტზე წარმოიქმნება დაუძლეველი გარემოება, რომლის გამოც შეუძლებელია მგზავრის უსაფრთხო გადაადგილება.
3.5. დაიცვას დრესკოდი, რაც გულისხმობს ეთიკურ და ესთეტიკურ დამოკიდებულებას მგზავრის მიმართ.
3.6. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას სამუშაო პროცესში ავტოსატრასპორტო საშუალება იყოს მოწესრიგებული ვიზუალურად, როგორც სალონი ასევე ძარა.
3.7. შემსრულებელი ვალდებულია , რომ მომსახურება გასწიოს ტექნიკური დათვალიერების მქონე და გამართულ მდგომარეობაში მყოფი ვტოსატრანსპორტო საშუალებით.
3.8. ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს დაზღვეული და გააჩნდეს დაზღვევა მესამე პირის წინაშე პაუხისმგებლობის დაზღვევით;
3.9. ფლობდეს უცხო ენას სასაუბრო დონეზე (მიუთითოს).
3.10. მაქსიმალურად შექმნას კომფორტული და უსაფრთხო გარემო მგზავრისთვის, არ შევიდეს კონფლიქტში და პრობლემური საკითხები მოაგვაროს სრული კომუნიკაციით დამკვეთთან ინციდენტის ამოწურვის მიზნით.
3.11. სამუშაო შეასრულოს პირადად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები წერილობითი ფორმით თანხმდებიან, სამუშაოს შესრულებაზე სხვა მესამე პირის მიერ .
3.12. შემკვეთს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში, ან საფრთხე შეუქმნას დამკვეთის ან მესამე პირის ინტერესებს და აცნობოს დამკვეთს არა უგვიანეს 12 საათის განმავლობაში.
3.13. გაუფრთხილდეს შემკვეთის მიერ მისთვის გადაცემულ ინფორმაციას, გამოიყენოს იგი დანიშნულებისამებრ და დაიცვას დადგენილი ნორმები.
3.14. უზრუნველყოს შემკვეთისათვის იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა შემსრულებლის მიერ არაჯეროვანი მოქმედებით.

4.2. შემკვეთი ვალდებულია:

4.1. ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, დროულად აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურეობის ღირებულება.
4.2. უზრუნველყოს “შემსრულებელი” ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სათანადო ინფორმაციით;
4.3. უზრუნველყოს “შემსრულებლი”-სათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება პორტალ „მაი პლანზე“ ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, პორტალზე მარშრუტის ფორმირების,

შეკვეთის მიღების, შეკვეთის შესრულებაზე თანხმობის მიცემის და დადასტურების გაცემის, უსაფრთხოების ნორმების, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის წესების შესახებ.
4.5. შემკვეთი ვალდებულია, მომსახურების ფასწარმოქმნისას იხელმძღვანელოს არსებული სტატისტიკური და პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით და დაადგინოს სატარიფო გეგმა.

5. მხარეთა უფლებები ;

5.1. შემკვეთს უფლება აქვს:

5.1.1. მოსთხოვოს "შემსრულებელს" კანონით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კვალიფიციური და ჯეროვანი შესრულება;

5.1.2. მოითხოვოს "შემსრულებლის"-გან ინფორმაციის წარდგენა სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

5.2. შემსრულებებს უფლება აქვს:

5.2.1. მიიღოს ინფორმაცია მასზედ დაკისრებული სამუშაოების შესახებ;

5.2.2. მოითხოვოს მის მიერ გაწეული მომსახურეობის ანაზღაურების დროულად გადახადა.

6. სამუშაოს ანაზღაურება

6.1."შემკვეთი" შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისთვის, უხდის ანაზღაურებას, მესამე პირის მიერ განხორციელებული შეკვეთის შესაბამისად ლარში, დასრულებული სამუშაო დღის ბოლოს არაუგვიანეს 24 საათისა, გადასახადების ჩათვლით.

6.2. "შემკვეთი", „შემსრულებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების გამოთვლას და ანაზღაურებას ახდენს, მესამე პირის მიერ განხორციელებული დაკვეთის მოცულობის ღირებულების მიხედვით ფასში, საიდანაც გამოიქვითება 17,5% საერთო ღირებულებიდან, საიდანც 2,5% საბანკო გადარიცხვის მომსახურების ღირებულებაა, 15% კი მიიმართება შპს „მაი პლანის" სასარგებლოდ.

6.3. შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებაში არ ითვალისწინება დაკვეთის ფურცელში არსებული ღირებულებები, რომელის მომსახურებას არ წევს შემსრულებელი.

6.4. საერთო ღირებულებიდან „მაი პლანის სასრგებლოდ" გამოქვითვას არ ექვემდებარება „შემსრულებლის" დღიური ანაზღარურება, რომელიც განსაზღვრულია 2 ან მეტი დღით შეკვეთის შესასრულებლად და განსაზღვრულია ერთჯერადად და არ კორექტირედება მგზავრობის მიმდინარეობისას.

6.5. მრავალდღიანი შეკვეთის მიღების შემთხვევაში, ყოველი დასრულებული დღის შეკვეთის მოცულობა ანაზღაურდება მომდევნო დღეს 24 საათის განმავალობაში.

6.6. შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობა, განისაზღვრება უშუალოდ მარშრუტის დაფარვის მიზნებისთვის არაუმეტეს 10 სამუშაო საათისა 24 საათის განმავლობაში.

6.7. შესასრულებელი მგზავრობის ღირებულების გაანგარითება ხდება შემდეგი ფორმულით:

ა) სედანი ტიპის ავტომობილისთვის - გასავლელი მანძილის (კილომეტრი) ღირებულება იანგარიშება პუნქტებს შორის მანძილის ნამრავლისა, 100 კილომეტრ მანძილის დასაფარად

საჭირო საწვავის ღირებულების 3 მაგ ოდენობაზე დამატებული ამ პუნქტებს შორის არსებული მანძილის დასაფარად საჭირო დროის ერთეულის ნარავლისა 20 ლარზე.
(სადაც ერტი ლიტრი საწვავის შეწონილი ფასი=3.00 ლარია, 100 კილომეტრ მეტ დისტანციის დაფავის შემთხვევაში ერთი საათის მგზავრობის ან მოცდის შირებულება 20 ლარი)
ბ) წარმოდგენილი მაგალითი პირობითია და გამოიყენება ა. პუნქტში აღწერილი ფორმულის სარგებლობის მიზნებისთვის. თუ A და B პუნქტებს შორის მანძილი 100 კილომეტრია მაშინ ამ მარშრუიტის შესრულების ღირებულებაა : 100 კმ * 0.90 ლარი + 90 წთ (60 კმ/ სთ სიჩქარით მოძრაობის პირობით) * 20 ლარზე= 90 +1,5* 20 ლარზე = 120 ლარს
გ) მგზავრის მიერ მოტხოვნილი დალოდების და ლოკაციაზე მოცდის ღირებულება 1 საათი= 20 ლარს.
6.8. ერთ დღეზე მეტი ხანგრძლივობით განსახორციელებელი მგზავრობის დროს მძღოლის დღიური ანაზღაურება შეადგენს 80 ლარს.
6.7. ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. შეკვეთის გაუქმება ან ვერ შესრულება :
7.1. შემსრულებლის მიერ დაკვეთის გადადების ან ვერ შესრულების შემთხვევაში მხრეებმა უპირობოდ უნდა აცნობონ ერთმანეთს არაუგვიანეს 12 საათისა;
7.2. თუ მხარეების მხრიდან დადგა დაუძლეველი გარემოება , რომლის გამოც მესამე პირებს მიადგათ ფინანსური ზიანი , ბრალეული მხარე აუნაზღაურებს ზიანის გამომწვევ ანაზღაურებას.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა ;
8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ელექტრულ ვერსიაზე დადასტურების მომენტიდან.
8.2. ხელშეკრულება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვილით.
8.3. ხელშეკრულება წყდება:
8.3.1. ვადამდე მხარეთა შეთანხმებით.
8.3.2. ვადამდე „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ხელშეკრულების პირობების) დარღვევის შემთხვევაში;
8.3.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონით ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. სხვა პირობები ;
9.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა ამ ხელშეკრულებას მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით ისე ზეპირ მოლაპარაკებებთან, ვალდებულებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.
9.2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „შემსრულებელი“ აცხადებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს ინსტრუქციით დადგენილ პირობებს.

9.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

9.4. ხელშეკრულების რეგულირება, მისი მართვა და ინტერპრეტაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან და შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობა.

9.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოში.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულად, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

„შემკვეთი“
შპს „მაი პლენ“
ს/კ 405289334
დირექტორი: ლევან ჭიჭინაძე
მისამართი: ქ.თბილისი,აღმაშენებლის 26/3
ხელმოწერა:

„შემსრულებელი“
ფ/პ
პ/ნ

ხელმოწერა: